საკრებულოს წევრის საქმიანობის ყოველკვარტალური (წლიური) ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გოჩა მგელაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წევრი

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): 79-2 ოლქის მაჟორიტარი

საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი

   13

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

   119

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა 1

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა 23 (10 ინფრასტრუქტურა+13 საფინანსო)

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

   72 (28 ინფრასტრუქტურა+44 საფინანსო)

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა 0

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

ჩემს მიერ საკითხების ინიცირება ხდება ფრაქციც სხდომებზე და მოწონების შემთხვევაში ისახება ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 60

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: 500-600

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანდაცვა.

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

- ქალაქის მაშტაბით ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების ადგილზე დათვალიერება და კონტროლი;
- მოქალაქეების მიერ წამოყენებული პრობლემების ადგილზე გაცნობა, მისი შემდგომი მოგვარების მიზნით;
- ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავჯდომარის მოადგილე და აქტიურად ვარ ჩართული კომისიის საქმიანობებში;
- ვარ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი კომისიის თავჯდომარის მოადგილე;
- აგრეთვე ვარ ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მართველი საბჭოს წევრი;
- ყოველ ორშაბათს ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში (10:00 – 13:00) ვხვდები ამომრჩევლებს
- აქტიურად ვხვდები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, სამსახურების ხელმძღვანელებს (ა(ა)იპ; შპს);
- მონაწილეობას ვღებულობ სხვადასხვა დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში;
- ვესწრები ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ ინფრასტრუქტურულ, კულტურულ, სპორტულ და საიუბილეო ღონისძიებებს.

შედეგი, ეფექტი:

1. 79-2 საარჩევნო ოლქში კეთილმოწყობითი სამუშაოები დასრულდა 56 ქუჩასა,ჩიხსა და შესახვევში, რომლებსაც 3 პუნქტად დავყოფ: ჭაობის,ბარცხანის და ბონი-გოროდოკის.

- ჭაობი (11) : შევჩენკოს ქუჩა, მარუხის ქუჩა, მარუხის I და II შესახვევი, ლომონოსოვის ქუჩა, ქობულეთის ქუჩა და ჩიხი, ქედას ქუჩა, ანდრონიკაშვილის ქუჩა და შესახვევი, სოხუმის ქუჩა.
- ბარცხანა (14): ბაქრაძის ქუჩა, აგარაკის ქუჩა, ნონეშვილის ქუჩა და ჩიხი, ქათამაძის ქუჩა და ჩიხი, შინდისის ქუჩა, დიასამიძის ქუჩა, თამარ მეფის გამზირი და ჩიხი, შრომის ქუჩა, ჭიჭინაძის ქუჩა და ჩიხი, ფაღავას ქუჩა.
- ბონი-გოროდოკი (31): ალ.ჩხაიძის ქუჩა, ს.მესხის ქუჩა და I და III ჩიხები, ერისთავის I, II, III და IV ჩიხები + შესახვევი, შალვა დადიანის ქუჩა, ქართველი იუნკერების ქუჩა, სესილია თაყაიშვილის ქუჩა, შ.იოსელიანის ქუჩა, იაშვილის ქუჩა, გოგიტიძის ქუჩა, მაქაცარიას ქუჩა, ნოღაიდელის ქუჩა, კაიკაციშვილის ქუჩა და შესახვევი, რკინიგზის ქუჩა, მაიაკოვსკის ქუჩა და I, III და IV ჩიხები, ნიჟარაძის ქუჩა, ჭონქაძის ქუჩა, გოგოლის შესახვევი, სახოკიას ქუჩა, თაბუკაშვილის ქუჩა, გიორგი წერეთელის ქუჩა, ვოლსკის ქუჩა.

2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე დაყენებული საკითხის შედეგად , სულაბერიძის და ქობულეთის ქუჩების კვეთაში არსებული უსახური სპორტული მოედნის ნაცვლად , მოეწყო მოსასვენებელი სკვერი, რომელშიც ასევე განთავსებულია ბავშვთა ატრაქციონები.

3. ჩემი ინიციატივითა და მონდომებით ფერიის ქუჩაზე არსებულ სასაფლაოზე მოეწყო და მოწესრიგდა სანიაღვრე არხი, რომელიც უხვი ნალექის დროს დიდ პრობლემებს უქმნიდა იქ არსებულ სასაფლაოებს.

4. ჩემი აქტიურობით ასფალტის საფარი დაიგო ნონეშვილის #61-ში, მრავალბინიანი სახლის ეზოში.

5. ასევე კეთილმოეწყო ბაქოს ქუჩა #48-ში არსებული მრავალბინიანი სახლის ეზო.

6. ა. წერეთელის და ფალავანდიშვილის ქუჩებზე მოგვარდა წლობით მოუგვარებელი გარევაჭრობის საკითხი. ტერიტორიები მთლიანად გაიწმინდა უსახური, თვითნებური სავაჭრო ნაგებობებისგან. მოგახსენებთ, რომ ამ პრობლემის მოგვარება იყო ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

ძირითად პრიორიტეტებად ასევე რჩება ინფრასტრუქტურული პროექტები: დარჩენილი ქუჩების კეთილმოწყობა, ბაღების, სკვერების, საბავშვო ატრაქციონების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.